ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2765332

ნომერი: AR1414644

თარიღი : 20.06.2016

გაცემის თარიღი : 08.08.2016

გაცნობის თარიღი : 09.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზემო ლისი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია უხურგუნაშვილი პ/ნ 01004001764
- ქუჩა სულხან ცინცაძე N38

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2015 წ. №2277539 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 20.06.2016 წ. №AR1414644 განცხადებით მომართა ილია უხურგუნაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 11.11.2015 წ. №2277539 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 11.11.2015 წ. №2277539 ბრძანებით ქ. თბილისში, ზემო ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 2000 კვ.მ.; საკადასტრო კოდი №72.16.18.853) დამხმარე–ტექნიკური

ნაგებობის აშენების მიზნით დადგენილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 26.02.2016 წ. №2452539 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.

ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველზე მიწის ნაკვეთზე სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელი გახდა განაშენიანების რეგულირების ხაზის გათვალისწინებით.

განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად განაშენიანების რეგულირების ხაზის კორექტირებასთან დაკავშირებული საკითხი თანდარტული დოკუმენტაციის საფუძველზე განხილული იქნა ქალაქ თბილსიის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგურლეიბის საკითხთა კომისიის სხდომაზე, რომლის გადაწყვეტილების შესაბამისად კომისიამ შესაძლებელად მიიჩნია განაშენიანების რეგულირების ხაზის მონაცვლეობა წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელად მიაჩნია აღნიშნული ცვლილების ასახვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2015 წ. №2277539 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით დაემატოს ჩანაწერი:
   - შენობა–ნაგებობის განთავსების დროს დაცული იქნას მიწის ნაკვეთზე ჩრდილოეთით დასმული განაშენიანების რეგულრიების ხაზი წარმოდგენილი დანართის შესაბამისად (იხ. დანართი);
   - ძველი დანართი შეიცვალოს 20.06.2016 წ. №AR1414644 განაცხადზე თანდართული დანართით;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2015 წ. №2277539 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 26.02.2016 წ. №2452539 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.